USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

დემოკრატიული მმართველობა
საქართველოში (G3) პროგრამა

international iccc center for civic culture

2014 წლის 15 ივნისს ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები!

თქვენ ირჩევთ საკრებულოს წევრებს და
პირველად ირჩევთ გამგებელს/მერს



ადგილობრივი თვითმმართველობა არის თქვენთან ყველაზე ახლოს მყოფი ხელისუფლება და იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ თქვენ წინაშე.

თქვენ და თქვენ მიერ არჩეულმა ადამიანებმა, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, ერთად უნდა გააუმჯობესოთ არსებული გარემო - ცენტრალურ ხელისუფლებაზე უკეთ, სწორედ ადგილობრივმა ხელისუფლებამ იცის თქვენი სოფლისა და ქალაქის პრობლემები და საჭიროებები.

ადგილობრივი პრობლემების მოგვარების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დაგეგმოს თვითმმართველობის ბიუჯეტი და თქვენი საჭიროებების შესაბამისად დახარჯოს ის. საკრებულოებმა და გამგებლებმა (მერებმა) უნდა უზრუნველყონ:

- ტერიტორიისა და გზების კეთილმოწყობა;
- ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა;
- ტერიტორიის გამწვანება, ქუჩების განათება;
- წყალმომარაგება, სარწყავი სისტემის განვითარება;
- საბავშვო ბაღების ფუნქციონირება;
- მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება;
- გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- უსახლკაროთა თავშესაფრით დაკმაყოფილება.
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

მუნიციპალიტეტი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები და პროექტები, რომლის მიზანიც იქნება დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარება, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა, ტურიზმისა და სპორტის განვითარება, სოციალური დახმარების პროგრამების შექმნა, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბება და ა. შ.

თვითმმართველობის ახალი კანონი - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ითვალისწინებს მთელ რიგ სიახლეებს:

- გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა 5-დან 12-მდე (თვითმმართველი ქალაქები გახდნენ: ახალციხე, ამბროლაური, გორი, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი), სადაც ერთმანეთისგან გაიმიჯნა საქალაქო და სასოფლო ზონები;
- რეგიონებში სახელმწიფოს რწმუნებულებთან/გუბერნატორებთან შეიქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებშიც შევლენ საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მერები/გამგებლები. საბჭოები, რწმუნებულებთან/გუბერნატორებთან ერთად, განიხილავენ და დაგეგმავენ რეგიონებში განსახორციელებელ სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პროგრამებს;
- სახელმწიფოს რწმუნებულის/გუბერნატორის ნაცვლად, სამართლებრივ ზედამხედველობას მუნიციპალიტეტებზე განახორციელებს პრემიერ მინისტრი.

აღნიშნული სიახლეები მხოლოდ რეფორმის დასაწყისია. უახლოეს ხანებში იგეგმება დამატებითი ღონისძიებები თვითმმათველობის სისტემის გაძლიერების მიზნით:

- ახალი მუნიციპალიტეტების შექმნის პროცესი უნდა გაგრძელდეს 2017 წლამდე და საერთო სოციალური, ეკონომიკური თუ გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე ტერიტორიებზე შეიქმნას არსებულზე შედარებით მცირე ზომის თვითმმართველობები;
- საზოგადოებრივმა ჯგუფებმა (სოფლებში, თემებში, ქალაქებში) მიიღეს უფლება, საქართველოს მთავრობის წინაშე, სათანადო დასაბუთებით, დააყენონ ახალი თვითმმართველობების შექმნის საკითხი;
- 2014 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი საზოგადოებრივი მონაწილეობის დამატებითი ფორმების შესახებ, რომლის თანახმადაც დასახლებებში უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებზეც დასახლების

მაცხოვრებელნი განიხილავენ მათ წინაშე არსებულ ადგილობრივ საკითხებს;

- 2014 წლის 1 სექტემბრამდე, საქართველოს მთავრობამ პარლამენტში უნდა წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის გამიჯვნის შესახებ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც გაიზრდება თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლები;
- 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და მიწის რესურსების, გამიჯვნის შესახებ;
- 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს მის ხელთ არსებული ქონების აღწერა და დაიწყოს ქონების ნაწილის თვითმმართველობებისთვის გადაცემა;
- 2014 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ უნდა წარმოადგინოს მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სტრატეგია.

რეფორმის წარმატებისთვის საქართველოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა გადამწყვეტია.

ჩვენს აქტიურობაზე დიდადაა დამოკიდებული თვითმმართველობისა და შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება.

საქართველოს კანონმდებლობაში (“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”, “საარჩევნო კოდექსი”) არის რიგი სიახლეებისა, რომლებიც ზრდის მოქალაქეთა უფლებებს:

- ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ხელმძღვანელი (ქალაქებში მერები, სხვა ერთეულებში - გამგებლები) არჩეულ იქნება პირდაპირ, უშუალოდ მოსახლეობის მიერ. საარჩევნო ბარიერი შეადგენს ამომრჩეველთა 50%-ს;
- პოლიტიკური პარტიების გაძლიერების მიზნით საარჩევნო ბარიერი შემცირდა 4%-მდე, ეს გამარჯვების და საკრებულოებში მოხვედრის მეტ შანსს აძლევს მცირე, ოპოზიციურ პარტიებს;
- საკრებულოების წევრობის კანდიდატის წამოყენების უფლება ამიერიდან აქვთ არა მხოლოდ პარტიებს, არამედ მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებსაც. შედეგად მოქალაქეებს შეუძლიათ, წამოაყენონ ისეთი პირების კანდიდატურები, რომლებიც არ ეკუთვნიან არც ერთ პარტიას, მაგრამ ნდობით სარგებლობენ საზოგადოებაში;
- თუ არჩეულმა მერმა/გამგებელმა ვერ გაამართლა საზოგადოების იმედები, ამომრჩეველთა 20%-ის ან საკრებულოს წევრთა 50%-ის მოთხოვნით, საკრებულოს 2/3-მა შეიძლება თანამდებობიდან გადაყენოს იგი.

გარდა აღნიშნულისა, ისევე როგორც ადრე, თვითმმართველობაში რეგისტრირებულ მოქალაქეთა 1%-ს, სურვილის შემთხვევაში, კვლავ აქვთ უფლება, პეტიციით მიმართონ თვითმმართველობებს ცალკეული საკითხების მოგვარების მიზნით. მოქალაქეებს ასევე აქვთ უფლება: მიიღონ სრული ინფორმაცია თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, დაესწრონ საკრებულოს სხდომებს, შეხვდნენ თვითმმართველობების წარმომადგენლებს და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეთავაზებები.

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინონ მოქალაქეებს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

იმისათვის, რომ თვითმმართველობა რეალობად იქცეს, საჭიროა თითოეული ჩვენგანი აქტიურად ჩაერთოს საარჩევნო პროცესში და თავად განსაზღვროს საკუთარი ქალაქის, სოფლის მომავალი.

არჩევნებში მონაწილეობისთვის საარჩევნო უბანში უნდა მიხვიდეთ 2014 წლის 15 ივნისს 08:00-დან 20:00 საათამდე.

თან აუცილებლად იქონიეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა – ასევე დევნილის მოწმობა (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად).

როგორ უნდა მოვიქცეთ საარჩევნო უბანზე:

ნაბიჯი 1. საარჩევნო უბანში შესვლისას კომისიის წევრს უნდა წარუდგინოთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა – ასევე დევნილის მოწმობა (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად).

ნაბიჯი 2. შემდეგ თქვენ გაივლით მარკირების შემოწმების პროცედურას. კომისიის წევრი ულტრაიისფერი ფარნით შეგიმოწმებთ, აღგენიშნებათ თუ არა მარკირება.

ნაბიჯი 3. კომისიის წევრი მიგითითებთ, თუ რომელ სარეგისტრაციო მაგიდასთან მიხვიდეთ. თქვენ მიხვალთ სარეგისტრაციო მაგიდასთან და წარუდგენთ რეგისტრატორს პირადობის მოწმობას/პასპორტს.

ნაბიჯი 4. რეგისტრატორი შეამოწმებს სიაში თქვენი ყოფნის ფაქტს და დადასტურების შემთხვევაში განახორციელებს თქვენს მარკირებას. თუ უარს იტყვით მარკირების პროცედურაზე, თქვენ აღარ გექნებათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.



ნაბიჯი 5. სიაში ხელმოწერით დაადასტურებთ ბიულეტენების მიღებას. რეგისტრატორმა ბიულეტენები უნდა გადმოგცეთ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბიულეტენის უკანა გვერდზე მოაწერს ხელს და დაამოწმებს სათანადო ბეჭდით.

თქვენ გადმოგეცემათ სამი სახის საარჩევნო ბიულეტენი: პროპორციული საარჩევნო ბიულეტენით ხმას აძლევთ სასურველ პარტიას; ერთი მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენით ხმას აძლევთ სასურველ კანდიდატს პიროვნებას, მეორე მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენით ირჩევთ გამგებელს.

ნაბიჯი 6. მარტო შედიხართ (ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება) ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებთ ბიულეტენებს. უნდა შემოხაზოთ თქვენთვის საკრებულოს წევრობისა და გამგებლის სასურველი კანდიდატების და პარტიის რიგითი ნომრები.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ დამოუკიდებლად შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ნაბიჯი 7. თქვენ ბიულეტენები ისე უნდა დაკეცოთ, რომ არ ჩანდეს, ვის მიეცით ხმა. გამოდიხართ ფარული კენჭისყრის კაბინიდან და დაკეცილი ბიულეტენებით მიდიხართ საარჩევნო ყუთთან განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, სადაც იღებთ სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებთ ბიულეტენებს.



საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.

თუ თქვენ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, ამის შესახებ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, რომლის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია, შეგიცვალოთ გაფუჭებული ბიულეტენი ახლით.

ნაბიჯი 8. მიდიხართ საარჩევნო ყუთთან. მას შემდეგ რაც კომისიის წევრი დარწმუნდება, რომ მხოლოდ ერთი კონვერტი გიკავიათ ხელში, გახსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და თქვენ აგდებთ კონვერტს საარჩევნო ყუთში.

ნაბიჯი 9. კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდების შემდეგ, თქვენ დაუყოვნებლივ ტოვებთ საარჩევნო უბანს.

გახსოვდეთ!

თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებთ საარჩევნო უბანზე მისვლას, თქვენ შეგიძლიათ არჩევნებში მონაწილეობა გადასატანი ყუთის მეშვეობით, რის შესახებაც საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოთ წერილობით ან ტელეფონითკენჭისყრის დღემდე 2 დღით (13 ივნისამდე) ადრე მაინც. ასეთ შემთხვევაში საშუალება გექნებათ ხმა მისცეთ საკუთარ სახლში.

© „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი”
32 294 02 96

office@iccc.org.ge
www.ivote.ge www.lsg.ge